

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ.ბათუმი ნინოშვილისქ., №35 ტელ/ფაქსი:(+995222)271787 ელ.ფოსტა:info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოსოფიის მაგისტრი (მოდულები: ფილოსოფიის ისტორია; პოლიტიკის ფილოსოფია; რელიგიის ფილოსოფია;)
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 90 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს. სასპეციალიზაციო მოდულს სტუდენტი ირჩევს სწავლების II სემესტრიდან. თითოეულ მოდულზე III – IV სემესტრში გათვალისწინებულია სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები 25 ECTS კრედიტი და 5–5 ECTS კრედიტი - არჩევით კურსები. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტ-მაგისტრანტებს (არჩეული მოდულის მიხედვით) შეასწავლოს ფილოსოფიის ისტორიის, რელიგიის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ფილოსოფიის მთავარი საკითხები, გაარკვიოს ამ სფეროებში წამოჭრილი პრობლემების არსში და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. ამაში მას დაეხმარება პროგრამის მოდულებში შემავალი შესაბამისი სასწავლო დისციპლინები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე, მაგისტრატურაში სწავლების იმ მსურველთა (სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა) მოთხოვნებსა და სურვილებს, ვისი ინტერესის სფეროსაც კონკრეტულად წარმოადგენს რელიგიური და პოლიტიკური ფილოსოფიის რეალიების ღრმა და საფუძვლიან გაცნობიერება-გააზრებას.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულმა იცის ფილოსოფიის ისტორიის პერიოდები, ძირითადი ფილოსოფიური სისტემები, მიმდინარეობები და მიმართულებები. ანტიკური, შუა, ახალი და თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი ტენდენციები. იცნობს ფილოსოფიის კლასიკოსების შრომებს; იცის ფილოსოფიის ისტორიასთან თანამედროვეობის მიმართება, იცნობს ამ მიმართების ნიუანსებს სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემაში. იცის რელიგიის კრიზისის გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე რელიგიური სეკულარიზმის ძირითადი პრინციპები. იცის პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიური საფუძვლები და საერთოდ ფილოსოფიის მნიშვნელობა პოლიტიკისათვის.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია: ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკის ფილოსოფიის და რელიგიის ფილოსოფიის კვლევით მიღებული ცოდნის გამოყენება, თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა, ფილოსოფიის კლასიკოსთა თვალსაზრისების, კონცეფციებისა და დებულებების გამოყენება შესაბამის სპეციალიზებულ სფეროში. დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება სტრატეგიული ანალიზის უნარი; ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკის ფილოსოფიის და რელიგიის ფილოსოფიის კრიტერიუმების იდენტიფიცირების უნარი; კრიტიკული ანალიზის</p>

	<p>საფუძველზე შეეძლება არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; გლობალური, რეგიონული და ლოგიკური კონტექსტების გააზრება, მათი კრიტიკული ანალიზისა და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;</p> <p>კომუნიკაციის უნარი: მაგისტრს შეეძლება ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკის ფილოსოფიის და რელიგიის ფილოსოფიის ცნებებით ოპერირება, დისკუსიებსა და დებატებში ჩართვა და კრიტიკული შეფასებების გაკეთება; შეუძლია სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია ქართულ და უცხო ენაზე აკადემიური სტანდარტების დაცვით; სამეცნიერო საქმიანობისას აქვს უახლესი ტექნოლოგიების და ინფორმაციების გამოყენების უნარი.</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია სხვადასხვა ტექსტის ანალიზი, ინფორმაციის ინტერპრეტაცია და რეპროდუქცია; მაღალ დონეზე სწავლის პროცესის დაგეგმვა; დამოუკიდებლად შეუძლია კვლევის ჩატარება, მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი.</p> <p>ღირებულებები: მაგისტრანტს ექნება კულტურული, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობა; ტოლერანტობა და გაგებით დამოკიდებულება განსხვავებული აზრისადმი;</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი წესით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81- 90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80ქულა; დ) (D)დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: სასპელიზაციო მოდულების ხელმძღვანელები: მოდული - ფილოსოფიის ისტორია: პროფესორი მიხეილ მახარაძე; ტელ: 577 454531 საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 454531 ელ. ფოსტა: mikheil.makharadze@bsu.edu.ge ასოცირებული პროფ. ვარდო ბერიძე; საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 145426 ელ. ფოსტა: vardo.beritze@bsu.edu.ge მოდული - პოლიტიკის ფილოსოფია პროფესორი მიხეილ მახარაძე; საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 454531 ელ. ფოსტა: mikheil.makharadze@bsu.edu.ge მოდული - რელიგიის ფილოსოფია ფილოსოფიის დოქტორი აბესალომ ასლანიძე; საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 999 860 ელ. ფოსტა: abesalom.aslanidze@bsu.edu.ge;</p>